

0-6 წლამდე ბავშვთა მეთვალყურეობის მოდული

სახელმძღვანელო

თებერვალი, 2023 წ.

სარჩევი

დოკუმენტის დანიშნულება	3
ავტორიზაცია	3
ბავშვთა შეფასების ფორმა.....	4
საძიებო ველები	4
ბავშვის მოძიება	4
ახალშობილი	5
დედა.....	5
მშობელი/მეურვე.....	5
ბავშვის სექცია	6
ჯანმრთელობა და განვითარება.....	7
აუტიზმის კითხვარი.....	8
ASQ-3 ასაკის და ეტაპების კითხვარი	8
ოჯახი/გარემო პირობები	9
დედის სექცია.....	9
დედის შეფასება	10
დედის დეპრესიის შკალა	10
პერინატალური რისკები	11
პირადი ექიმი	11
დამატებითი დილაკები.....	11
საკონსულტაციო თემები.....	13
დამხმარე ლიტერატურა	13
ანალიტიკა.....	13
რეპორტები	14
დახმარება	14
ბავშვის დამატება	14
ექიმი - ონლაინ ვიზიტის დაჯავშნა და რეფერალი	15
სპეციალისტი - ონლაინ ჯავშნების მართვა და კონსულტაციის დოკუმენტირება.....	17

დოკუმენტის დანიშნულება


დოკუმენტი წარმოადგენს სახელმძღვანელოს სისტემაში მომუშავე პირებისათვის და აღწერს 0-6 წლამდე ბავშვთა მეთვალყურეობის მოდულის ძირითად პრინციპებს და მოდელს, თუ როგორია მისი ზოგადი დიზაინი, რა პროცესებია მასში და რა შესაძლებლობებით არის აღჭურვილი. მიმდინარე დოკუმენტი არ მოიცავს სისტემის ტექნიკურ არქიტექტურას.

ავტორიზაცია

0-6 წლამდე ბავშვთა მეთვალყურეობის ელ. მოდული განთავსებული არის მისამართზე: <https://ncdclogin.moh.gov.ge/HmisNew/Hmis.Authorization.Web/#/login>


სისტემაში ავტორიზაციის გავლა შესაძლებელი არის, წინასწარ მინიჭებული მომხმარებელით და პაროლით.

პაროლის დავიწყების შემთხვევაში, “პაროლის აღდგენა“ ფუნქციონალის საშუალებით, მომხმარებელს ახალი პაროლი ეგზავნება, პირადი მობილური ტელეფონის ნომერზე SMS -ის სახით ან/და ელ. ფოსტის მეშვეობით (იხ. სურათი).



სისტემაში ავტორიზაციის შემდეგ, სისტემის მთავარ გვერდზე ჩნდება ნავიგაციის პანელი, რომელიც შედგება სხვადასხვა საინფორმაციო და ანალიტიკური სექციებისგან (იხ. სურათი):

- ბავშვთა შეფასების ფორმა
- რეფერალური სერვისები
- საკონსულტაციო თემები
- დამხმარე ლიტერატურა
- რეპორტები
- ფაილები
- ანალიტიკა
- დახმარება




სახელმძღვანელოში დეტალურად იქნება განხილული თითოეული სექცია.

ბავშვთა შეფასების ფორმა


ბავშვთა შეფასების ფორმის სექციაში, წარმოდგენილი არის ბენეფიციართა სიები ცხრილის სახით და საძიებო ფილტრის ველები.

საძიებო ველები

საძიებო ფილტრის ველების საშუალებით, შესაძლებელი არის მოძიოთ ბავშვი, მისი ან დედის პირადი მონაცემების მიხედვით (იხ. სურათი).




ფილტრის ველები, მომხმარებელს ასევე აძლევს საშუალებას სასურველი პერიოდის ფარგლებში მოძიოს დაგეგმილი, კალენდარული და ჩატარებული ვიზიტების მონაცემები (იხ. სურათი):



ბავშვის მოძიება


ბავშვის პირადი მონაცემით მოძიების შემდეგ „რედაქტირების“ დილაკის გამოყენებით, იხსნება ბავშვის შესახებ მონაცემთა რეგისტრაციის სექციები (იხ. სურათი):

- ახალშობილი
- დედა
- მშობელი/მეურვე
- ვიზიტები
- პერინატალური რისკები
- პირადი უქიმი
- დამატებითი საინფორმაციო დილაკები




ახალშობილი

ახალშობილის სექციაში მოცემულია ინფორმაცია: ბავშვის სქესი, დაბადების თარიღი, გესტაციური ასაკი, სისხლის ჯგუფი/რუზუსი, ინფორმაცია დაავადებების შესახებ, ჩატარებული სკრინინგები, კვების ტიპი, ჩატარებული მკურნალობა, ძირითადი და თანმხლები ნეონატალური დიაგნოზი, იმუნიზაციის შესახებ ინფორმაცია და სხვა (იხ. სურათი).




ღელა

ღელის სექციაში მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია ღელის შესახებ: პირადი მონაცემები, სისხლის ჯგუფი/რუზუსი, მონაცემები მიმდინარე მშობიარობის შესახებ, ინფორმაცია გაწერა/გადაყვანის შესახებ და სხვა (იხ. სურათი).




მშობელი/მეურვე

მშობელი/მეურვე-ს გვერდზე მოცემული არის ბავშვის მამის ან/და მეურვის შესახებ ინფორმაცია (იხ. სურათი):



ვიზიტების სექცია გაყოფილი არის ორ ნაწილად (იხ. სურათი):

- ბავშვი
- დედა




ბავშვის სექცია

ბავშვის სექციაში ინტეგრირებული არის შესაბამისი კითხვარები, გადანაწილებული ვიზიტების მიხედვით 2 კვირიდან 60 თვის ჩათვლით:

- ლურჯი ფერი - სავალდებულო ვიზიტი
- ვარდისფერი - არასავალდებულო (რეკომენდირებული) ვიზიტი
- მწვანე - ჩატარებული ვიზიტი

კითხვარების სტრუქტურა იდენტური არის ყველა ვიზიტისთვის და „0-6 წლის ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები პირველად ჯანდაცვაში“-პროტოკოლის მიხედვით მიესადაგება ბავშვის ასაკს. კითხვარები დაყოფილი არის სექციებად (იხ. სურათი):

- ჯანმრთელობა და განვითარება
- აუტიზმის კითხვარი
- ოჯახი/გარემო პირობები/ოჯახი/გარემო პირობები
- ASQ-3 ასაკის და ეტაპების კითხვარი



ჯანმრთელობა და განვითარება


ჯანმრთელობა და განვითარების კითხვარი ჩაშლილი არის რამოდენიმე მიმართულებით (იხ. სურათი):

- **ინფორმაცია ვიზიტის შესახებ** - ვიზიტის თარიღი, ვიზიტის ადგილმდებარეობა და ინფორმაცია ბავშვის წარმომადგენლის შესახებ. (*ვიზიტის თარიღი საქირთა მიეთითოს ის თარიღი, როდესაც მოხდა ბავშვის შეფასება შესაბამის ასაკობრივ ჭრილში)
- **ჯანმრთელობა/განვითარება** - კვება, პრევენცია, ფიზიკური განვითარება, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საშიშროების ნიშნების შეფასება. (*ფიზიკური განვითარების მონაცემების შეტანის შემდეგ „OK“ დილაკზე დაჭერის შედეგად სისტემაში ჩნდება ასაკის დიაგრამის ინტერპრეტაციები.)
- **ობიექტური გასინჯვა** - კანი, ძვალ-სახსროვანი სისტემა, სასუნთქი სისტემა, გულსისხლძარღვთა სისტემა, შარდ-სასქესო სისტემა, გენიტალიები, მუცლის ღრუ, ნერვული სისტემა, მხედველობა, დისემბრიოგენეზული სტიგმები და ფენოტიპური ცვლილებები, სმენა, რეფლექსები.
- **განვითარების ნიშანსვეტები** - უხეში მოტორიკა, ნატიფი მოტორიკა, სოციალურ/ემოციური, კოგნიტური/მეტყველება.
- **სკრინინგები** - უნივერსალური და სელექციური სკრინინგი.
- **მშობლის კონსულტირება** - შეკითხვები ასაკისთვის პრიორიტეტულ თემებზე კონსულტაციასთან დაკავშირებით
- **დასკვნა/რეკომენდაციები** - ოჯახის და ბავშვის მართვის გეგმა, განვითარების შეფასების შედეგი, გამოვლენილი პრობლემები/განვითარების შეფერხება, რეფერალი სპეციალისთან/სპეციალიზირებულ სერვისზე და სხვა.
- **მომდევნო ვიზიტის დაგეგმვა** - მომდევნო ვიზიტის თარიღი და მიზანი.

თითოეული სექციის ბოლოს არსებული „შემაჯამებელი კომენტარი“-ს ველში არსებული ინფორმაცია გადადის ვიზიტის საბეჭდ ფორმაში (იხ. სურათი):



საბეჭდ ფორმაში გადმოტანილი ინფორმაცია შესაძლებელია, რომ დარედაქტირდეს ან/და ამოიბეჭდოს (იხ. სურათი):




* კითხვარის შევსების შემდეგ, აუცილებელი არის, მონაცემების შესაბამისი შენახვის დილაკით შენახვა.

აუტიზმის კითხვარი

აუტიზმის მოდიფიცირებული კითხვარი სისტემაში ინტეგრირებული არის 18 და 24 თვის ასაკის ბავშვის შეფასებისთვის. კითხვარის თითოეული შეკითხვის პასუხს აქვს გარკვეული ქულა მინიჭებული.

შეკითხვებზე შესაბამისი პასუხის არჩევის შემდეგ "OK" ღილაკზე დაჭერის შედეგად, პასუხები ჯამდება ქულობრივად და სისტემაში ჩნდება შეჯამებულ ქულათა ინტერპრეტაციები და შემდგომი რეკომენდირებული ქმედებები (იხ. სურათი):




* კითხვარის შევსების შემდეგ, აუცილებელი არის, მონაცემების შესაბამისი შენახვის ღილაკით შენახვა.

ASQ-3 ასაკის და ეტაპების კითხვარი

ASQ-3 ასაკის და ეტაპების კითხვარი სისტემაში ინტეგრირებული არის 2, 4, 6, 8, 10, 12, 18, 24, 30, 36, 48 და 60 თვის ასაკის ბავშვის შეფასებისთვის. კითხვარი დაყოფილი არის სფეროების მიხედვით (იხ. სურათი):

- კომუნიკაცია
- მსხვილი მოტორიკა
- ნატიფი მოტორიკა
- პრობლემის გადაჭრა
- ზოგადი კითხვები

თითოეული სფეროს შეკითხვის პასუხს აქვს გარკვეული ქულა მინიჭებული. შეკითხვებზე შესაბამისი პასუხის არჩევის შემდეგ "OK" ღილაკზე დაჭერის შედეგად, პასუხები ჯამდება ქულობრივად და სისტემაში ჩნდება შეჯამებულ ქულათა ინტერპრეტაციები და შემდგომი რეკომენდირებული ქმედებები.




* კითხვარის შევსების შემდეგ, აუცილებელი არის, მონაცემების შესაბამისი შენახვის ღილაკით შენახვა.

ოჯახი/გარემო პირობები

ოჯახი გარემო პირობების სექციაში ინტეგრირებული არის შეკითხვები სხვადასხვა შესაბამისი მიმართულებით (იხ. სურათი):

- უსაფრთხოება - ბავშვის უსაფრთხო გარემო.
- სოციალური - ოჯახის და გარემო პირობების შეფასება, ოჯახური , სოციალური და ფსიქიკურ/ქცევითი ანამნეზის შეგროვება
- დედისა და ბავშვის ურთიერთდამოკიდებულება - შეკითხვები დედის/აღმზრდელისა და ბავშვის ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ.
- ძალადობა/უგულებელყოფა - შეკითხვები ძალადობა/უგულებელყოფის შეფასებისთვის.




*გარკვეულ ველებზე, რომელთაც აქვს წითელი (?) ნიშანი, შესაძლებელი არის შეკითხვის განმარტების ნახვა

* კითხვარის შევსების შემდეგ, აუცილებელი არის, მონაცემების შესაბამისი შენახვის დილაკით შენახვა.

დედის სექცია

დედის სექციაში ინტეგრირებული არის შესაბამისი კითხვარები, გადანაწილებული ვიზიტების მიხედვით 2 კვირიდან 6 თვის ჩათვლით (იხ. სურათი):

- დედის შეფასება
- დეპრესიის შკალა



დედის შეფასება

დედის შეფასების კითხვარში ინტეგრირებული არის სექციები (იხ. სურათი):

- დედის ჯანმრთელობის მდგომარეობის ზოგადი შეფასება
- დედის ჯანმრთელობა/ სოციალური ანამნეზი
- დედისა და ბავშვის ურთიერთდამოკიდებულება

* კითხვარის შევსების შემდეგ, აუცილებელი არის, მონაცემების შესაბამისი შენახვის დილაკით შენახვა.

დედის დეპრესიის შკალა

სისტემაში ინტეგრირებული არის ედინბურგის პოსტნატალური დეპრესიის შკალის (EPDS) კითხვარი დედის მშობიარობის შემდგომი მდგომარეობის შეფასებისათვის. კითხვარის თითოეული შეკითხვის პასუხს აქვს გარკვეული ქულა მინიჭებული.


შეკითხვებზე შესაბამისი პასუხის არჩევის შემდეგ “OK” დილაკზე დაჭერის შედეგად, პასუხები ჯამდება ქულობრივად და სისტემაში ჩნდება შეჯამებულ ქულათა ინტერპრეტაციები და შემდგომი რეკომენდირებული ქმედებები (იხ. სურათი).

* კითხვარის შევსების შემდეგ, აუცილებელი არის, მონაცემების შესაბამისი შენახვის დილაკით შენახვა.

პერინატალური რისკები


ბავშვს დაბადებისას ან მეთვალყურეობის შედეგად თუ გამოვლინდა გარკვეული საფრთხეები, ახალშობილის პერინატალური რისკების ჯგუფში ინფორმაცია ივსება ავტომატურად.

დედას თუ აღენიშნება მშობიარობის შემდგომი გართულებები ან/და გამოვლინდა მეთვალყურეობის შედეგად, ავტომატურად ივსება ინფორმაცია რისკებთან დაკავშირებით დედი რისკების ჯგუფის ჩამონათვალში (იხ. სურათი):




პირადი ექიმი

პირადი ექიმის გვერდზე, მოცემული არის ინფორმაცია ბავშვის პირადი ექიმის და ორგანიზაციის შესახებ (იხ. სურათი):



დამატებითი დილაკები

ბავშვის შეფასების ფორმაში განთავსებული არის დამატებითი დილაკები (იხ. სურათი):




შენახვა - ყველა კითხვარის შევსების შემდეგ აუცილებელი არის დამატებითი დილაკით შენახვა.

დახურვა - დახურვის დილაკი გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ ცვლილებების განხორციელების გარეშე გასურთ დახურვა.

ზრდის მრუდი - სისტემაში იტეგრირებული არის ბავშვის ფიზიკური განვითარების სპეციალური დიაგრამები (იხ. სურათი):

- ბავშვის წონა
- ბავშვის თავის გარშემოწერილობა
- ბავშვის სიგრძე/სიმაღლე



- მწვანე მრუდი - შეესაბამება საშუალო მაჩვენებელს ანუ მედიანას,
- ყვითელი მრუდი – ზედა +1 Z ქულოვან, ქვედა – -1 Z ქულოვან მაჩვენებელი
- წითელი მრუდი – ზედა +2 Z ქულოვან, ქვედა – -2 Z ქულოვან მაჩვენებელი,
- ცისფერი მრუდი - შეესაბამება ბავშვის რეალურ მონაცემებს.


მონაცემები დაბადების რეგისტრიდან - დაბადების რეგისტრში არსებული ჩანაწერების სრული მონაცემების ავტომატურ რეჟიმში სინქრონიზაცია.

სხვადასხვა სამედიცინო ინფორმაცია - სხვადასხვა სამედიცინო სისტემებიდან მოგროვებული ჩანაწერები ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ.

ინფორმაცია იმუნიზაციიდან - ბავშვის იმუნიზაციის შესახებ მონაცემები - ჩატარებული, გამოტოვებული და სამომავლო აცრების შესახებ.


მშობლისთვის კითხვარის გადაგზავნა - კითხვარის გადაგზავნის ფუნქციონალის საშუალებით, ექიმს ეძლევა შესაძლებლობა, რომ მშობელს ელ. ფოსტაზე გაუგზავნოს ლინკი კითხვარების დისტანციურად შევსებისთვის (იხ. სურათი):

- ASQ3 ასაკისა და ეტაპების კითხვარი
- აუტიზმის კითხვარი
- დედის დეპრესიის კითხვარი




საკონსულტაციო თემები

საკონსულტაციოს თემების სექციაში წარმოდგენილია საკონსულტაციო თემები/რჩევები 2 კვირიდან 5 წლამდე ბავშვის იმუნიზაციის, კვების, განვითარების, მოვლის, უსაფრთხოების, ქვევისა და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ (იხ. სურათი).



დამხმარე ლიტერატურა


დამხმარე ლიტერატურის სექციაში ინტეგრირებული არის სხვადასხვა სახის საინფორმაციო სახელმძღვანელოები და პროტოკოლები (იხ. სურათი).



ანალიტიკა


ანალიტიკის სექცია ხილვადი არის მხოლოდ განსაზღვრული მომხმარებლებისთვის (ანალიტიკოსები, ექსპერტები, მენეჯრები, კოორდინატორები და ა.შ). ანალიტიკის სექციაზე დაჭერით, ხდება მომხმარებლის გადამისამართება ანალიტიკურ მოდულზე.

ანალიტიკურ მოდულში, ინტეგრირებული არის 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის სტანდარტების, ხარისხის შესაფასებელ ინდიკატორებზე დაყრდნობით შექმნილი ანალიტიკური გრაფიკი და აღნიშული გრაფიკების ცვლადების მიხედვით შექმნილი ცხრილი - „გაერთიანებული რეპორტი“ მონაცემთა დეტალური ინფორმაციით (იხ. სურათი).



რეპორტები

რეპორტირების გვერდზე შესაძლებელი არის სასურველი რეპორტის ფორმის, სასურველი პერიოდის ჭრილში მოძიება და გენერირება (იხ. სურათი):




დახმარება


დახმარების სექციაში, განთავსებული არის სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელოები.

ბავშვის დამატება

ბავშვის პირადი ნომრით მოძიების შედეგად, თუ ბავშვი არ აღმოჩნდა რეგისტრირებული სისტემაში, ჩნდება დამატების „+“ ღილაკი (იხ. სურათი):




დამატების „+“ ღილაკზე დაჭერის შედეგად, მომხმარებელი გადამისამართდება ბავშვის პირადი ინფორმაციის გვერდზე. ბავშვის პირადი ნომრის და დაბადების წლის შეტანის შემდეგ „სინქრონიზაციის“ ღილაკზე დაჭერის შედეგად, დაბადების რეგისტრის მოდულიდან ავტომატურად ივსება შესაბამისი საინფორმაციო ველები (იხ. სურათი):



ბავშვის ინფორმაციის დამატების შემდეგ, აუცილებელი არის შეივსოს დედის ან მშობელი/მეურვის ინფორმაცია.

დედის გვერდზე, პირადი ნომრის და დაბადების წლის შეტანის შემდეგ, „სინქრონიზაციის“ დილაკზე დაჭერის შედეგად, დაბადების რეგისტრის სისტემიდან ივსება საინფორმაციო ველები დედის შესახებ, როგორცაა: პირადი მონაცემები, სისხლის ჯგუფი/რეზუსი, მონაცემები მიმდინარე მშობიარობის შესახებ, ინფორმაცია გაწერა/გალაყვანის შესახებ და სხვა (იხ. სურათი):




ექიმი - ონლაინ ვიზიტის დაჯავშნა და რეფერალი

0 - 6 წლამდე ბავშვთა განვითარების მეთვალყურეების პროგრამაში, ექიმის მიერ ვირტუალური ჯავშნის განხორციელება შესაძლებელი არის ბავშვთა ვიზიტების ფარგლებში, ჯანმრთელობის შეფასების სექციიდან, სადაც ხდება მომდევნო ვიზიტის დაგეგმვა ან/და რეფერალის განხორციელება (იხ. სურათი):




რიგების მართვის სისტემაზე გადასვლისას, მომხმარებელს უჩანს ორი სახის ფანჯარა „მოქალაქე“ და „ორგანიზაცია“. „ორგანიზაცია“-ში ავტორიზაციის გავლა შესაძლებელია წინასწარ მინიჭებული მომხმარებლით და პაროლით.




**სერვისის მოძიების და ჯავშნის განხორციელების პროცესი ორივე შემთხვევაში არის იდენტური.*

სასურველი სერვისის მოძიება შესაძლებელია ექიმის, სერვისის დასახელების ან ორგანიზაციის მიხედვით (იხ. სურათი):




სასურველი სერვისის მოძიების შემდეგ ჩნდება შესაბამისი სპეციალისტების განრიგის კალენდარი ჯავშნის დღის და საათის მისათითებლად (იხ. სურათი):



*კალენდარში ნაცრისფერი ულები აღნიშნავს არასაშუალო პერიოდს, ხოლო ნარინჯისფერი დაჯავშნილ განრიგებს, ორივე შემთხვევაში აღნიშნულ მონაკვეთებში ჯავშნის განხორციელება შეუძლებელია.


სასურველი სერვისის და თარიღის არჩევის შემდეგ, ვირტუალური ვიზიტის დასაჯავშნად საჭირო არის პაციენტის პირადი მონაცემების შეტანა (ელ.ფოსტის შემთხვევაში აუცილებელი არის gmail-ის მითითება).

ჯავშანის დასადასტურებლად მომხმარებელს სმს-ის სახით მისდის ჯავშნის კოდი (ტესტირების რეჟიმში გამოიყენება კოდი - 1111), კოდით დადასტურების შედეგად პაციენტს და შესამაბისი სერვისის გამწვან სპეციალისტს ელ. ფოსტაზე ეგზავნებათ შეხვედრის ლინკი (იხ. სურათი).




*შეხვედრის ლინკი აქტიური არის მხოლოდ კონსულტაციისთვის განსაზღვრულ პერიოდში.

ონლაინ ჯავშანის რეგისტრაციის შემდეგ, 0 - 6 წლამდე ბავშვთა განვითარების მეთვალყურების პროგრამაში, ექიმის მიერ დასკვნა/რეკომენდაციების ნაწილში, საჭიროა მოინიშნოს რეფერალის საჭირება და მიეთითოს შესაბამისი სერვისის გამწევი ორგანიზაცია (იხ. სურათი):




სპეციალისტი - ონლაინ ჯავშნების მართვა და კონსულტაციის დოკუმენტირება.

ონლაინ ჯავშნების მართვა - რიგების მართვის სისტემაში ავტორიზაციის შემდეგ, სპეციალისტს საწყის გვერდზე ცხრილის სახით უჩანს მასთან სერვისზე ჩაწერილი პაციენტების სია, ჯავშნის შესახებ დეტალური ინფორმაციით. პაციენტების გასწვრივ არსებული ღილაკებით შესაძლებელია ვიდეო კონფერენციაზე გადასვლა ან სტატუსის ცვლილება (იხ. სურათი):




** ვიდეო კონფერენციაზე გადასვლა შესაძლებელი არის როგორც რიგების მართვის სისტემაშიდან ასევე ელ. ფოსტაზე მიღებული ლინკის საშუალებით.*

კონსულტაციის დოკუმენტირება - 0 - 6 წლამდე ბავშვთა განვითარების მეთვალყურების პროგრამაში, სპეციალისტს რეფერალური სერვისების გვერდზე, სიის სახით უჩანს მასთან გადმომისამართებული პაციენტები (იხ. სურათი):



შესაბამისი პაციენტის მოძიების შემდეგ, შესაძლებელია არის ბავშვის შესახებ განვითარების მეთვალყურეობის შესახებ ინფორმაციის დათვალიერება (იხ. სურათი):



კონსულტაციის შედეგების დოკუმენტირებისთვის, ბავშვის ჯანმრთელობა და განვითარების ფორმის, დასკვნა/რეკომენდაციების ნაწილში, რეფერალის შესახებ საინფორმაციო ველში, საჭირო არის მონიშნოს „ჩატარდა“, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება კონსულტაციის შედეგის დოკუმენტის ატვირთვა (იხ. სურათი).

